585/963/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 18 (215) 29 ივნისი 1963 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

9043

განყოფილება პირველი

293. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. ბ. იაკუბოვსკის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

294. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ორმხრივი მოქალაქეობის შემთხვევათა წარმოშობის თავიდან აცილების თაობაზე საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

295. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ტ. ვეიმერის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

296. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. აკრამოვასათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

297. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ ბ. ა. რუჩიევის (კრივოშჩეკოვის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

298. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ფ. ობედკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

299. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მშენებლებს, ქალაქ მოსკოვის სამშენებლო მასალის და ნაკეთობათა მრეწველობის მუშაკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

300. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. თ. ბიკოვსკისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ.

301. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ტერეშკოვასათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ.

302. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. თ. ბიკოვსკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

303. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. ვ. ტერეშკოვასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

293 ᲐᲛᲮ. Ф. Б. ᲘᲐᲙᲣᲑᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲣᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ᲡᲡᲠ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფუად ბორისის ძე **იაკუბოვსკი** ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრად.

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.
ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 ივნისი.
№ 1444-VI.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

294 ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი კონვენცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ორმხრივი მოქალაქეობის შემთხვევათა წარმოშობის თავიდან აცილების შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 21 იანვარს, **რატიფიცირებულ იქნას.**

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.
ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 20 ივნისი.
№ 1446-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

295 **ამხ. ა. ტ. ვეიმერის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სამეურნეო მშენებლობაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ესტონეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. არნოლდ ტინუს ძე **ვეიმერი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 ივნისი.
№ 1443-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

296 **ამხ. ბ. აკრამოვასათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

იმის გამო, რომ ბ. აკრამოვას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე, რომ მან გამოიჩინა მაღალი შეგნებულობა და პატრიოტიზმი, იშვილა საბავშვო სახლებიდან გამოყვანილი სხვადასხვა ეროვნების 16 ბავშვი და აღზარდა ისინი შრომისადმი დიდი პატივისცემის სულისკვეთებით, ამხ. ბახრი **აკრამოვას** მიენიჭოს **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეს **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 20 ივნისი.
№ 1447-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

297 პოეტ ბ. ა. რუჩიევის (კრივოშჩეკოვის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პოეზიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პოეტი ბორის ალექსანდრეს ძე **რუჩიევი (კრივოშჩეკოვი)** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 20 ივნისი.
№ 1448-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

298 ამხ. ი. ფ. ობედკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით კიროვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ივანე ფადეის ძე **ობედკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 21 ივნისი.
№ 1452-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

299 იმის შესახებ, რომ მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მშენებლებს, ქალაქ მოსკოვის სამშენებლო მასალის და ნაკეთობათა მრეწველობის მუშაკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი

საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობასა, სამშენებლო მასალის და ნაკეთობათა წარმოებაში მოპოვებული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის და ქალაქ მოსკოვში შრომის ახალი პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. გრიგოლ ვლადიმერის ძე **ეფიმცევს** — „გლავმოსპრომსტროიმატერიალის“ ბესკუდნიკოვოს კერამიკული ქარხნის რგოლური ღუმელების გამომწველს;

2. მარიამ სტეფანეს ასულ **კოსტაშს** — „გლავმოსპრომსტროიმატერიალის“ რკინა-ბეტონის ნაკეთობათა № 5 ქარხნის საყალიბო საამქროს ბრიგადირს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გერმან ინოკენტის ძე **ლამოჩკინს** — „გლავმოსსტროის“ ტრესტ „მოსსტროი“ № 1-ის № 6 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს;

4. გენადი ვლადიმერის ძე **მასლენიკოვს** — „გლავმოსსტროის“ სახლების სამშენებლო კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს;

5. ექვთიმე ექვთიმეს ძე **ნიკონოვს** — „გლავმოსსტროის“ ტრესტ „მოსჟილსტროის“ მმართველს;

6. მიხეილ ივანეს ძე **პრისტავკას** — „გლავმოსავტოტრანსის“ სამმართველო „მოსსტროიტრანსის“ № 20 ავტობაზის შოფერს;

7. კლავდია პეტრეს ასულ **ცუპკოვას** — „გლავმოსსტროის“ ტრესტ „მოსსტროიმეხანიზაცია“ № 5-ის № 15 მექანიზაციის სამმართველოს კოშკურა ამწის მემანქანეს;

8. ვასილ გრიგოლის ძე **შიშოვს** — „გლავმოსსტროის“ სამთოგვირაბგასაყვანი სამუშაოების ტრესტის № 17 სპეციალიზებული სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 21 ივნისი.
№ 1453-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

300 ამხ. ვ. თ. ბიკოვსკისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-5“ ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. ვალერი თევდორეს ძე **ბიკოვსკის** მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.
№ 1455-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

301 ამხ. ვ. ვ. ტერეშკოვასათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-6“ ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. ვალენტინა ვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმერის ასულ **ტერეშკოვას** მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.
№ 1456-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

302 კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. თ. ბიკოვსკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-5“ კოსმოსში ხანგრძლივი ფრენის განხორციელებისათვის კოსმონავტ მფრინავს ამხ. ვალერი თევდორეს ძე **ბიკოვსკის** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.
№ 1457-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

303 კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. ვ. ტერეშკოვასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-6“ კოსმოსში ხანგრძლივი ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“** მსოფლიოს პირველ კოსმონავტ მფრინავ ქალს ამხ. ვალენტინა ვლადიმერის ასულ **ტერეშკოვას** და დაიდგას გმირის ბრინჯაოს ბიუსტი ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.
№ 1458-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ მისწრაფებით გააფართოონ და გააღრმაონ თანამშრომლობა სოციალური უზრუნველყოფის დარგში ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრობის სულისკვეთებით, 1962 წლის 20 დეკემბერს ბუდაპეშტში დადეს შეთანხმება სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმების შესაბამისად, უნგრეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სსრ კავშირის მოქალაქეები და საბჭოთა კავშირში მცხოვრები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეები შრომის სამართლის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის დარგში გაუთანაბრდებიან იმ ქვეყნის მოქალაქეებს, სადაც ისინი ცხოვრობენ, თუკი შეთანხმებით გათვალისწინებული არ არის სხვა რამ.

შეთანხმება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 31 მაისს; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მიერ — 1963 წლის 11 აპრილს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1963 წლის 6 ივნისს.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 25, 1963 წლის 19 ივნისი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში, სამშენებლო მასალისა და ნაკეთობათა წარმოებაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ქალაქ მოსკოვში მშენებლობის ახალი პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ქალაქ მოსკოვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 1483 მონაწილე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 50 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 219, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 307, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 451 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“**—456 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

უკრაინის სსრ

ცენტრის გადატანა და რაიონის გადარქმევა

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 16 მაისის ბრძანებულებით ლუგანსკის ოლქის მელოვოეს რაიონის ცენტრი გადატანილია ქალაქის ტიპის დაბა **ბელოვოდსკში**. მელოვოეს რაიონს დაერქვა **ბელოვოდსკის** რაიონი.